განმცხადებელი: ანრი ოხანაშვილი

თარიღი: 17-07-2022

მივიჩნევ, რომ ჟურნალისტმა/რედაქტორმა დაარღვია საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპ(ებ)ი: : პრინციპი 1

ინფორმაცია ჟურნალისტის/რედაქტორის შესახებ, რომელმაც სავარაუდოდ დაარღვია ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპები : ტელეკომპანია „ფორმულას“ გადაცემის „შაბათის ფორმულა“ წამყვანი დავით ქაშიაშვილი და იმავე გადაცემის 2022 წლის 2 ივლისის სიუჟეტის „ოცნების“ ზღვარი“ ავტორები: სოფო მოზალიშვილი, გიგა აღდგომელაშვილი, ლაშა ქებაძე და ლადო ბიჭაშვილი. საკონტაქტო ინფორმაცია: მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზირი N45; ტელეფონი: +995322500222; ელექტრონული ფოსტა: formulanews@formula.ge (იხ. https://formulanews.ge/Contact)

სადავო მასალა : 2022 წლის 2 ივლისს ტელეკომპანია „ფორმულას“ გადაცემაში გასული სიუჟეტი „ოცნების“ ზღვარი“: https://formulanews.ge/Programs_Video/%E1%83%A0%E1%83%90_%E1%83%A5%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90%E1%83%A1_%E1%83%A4%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%94%E1%83%9C_%E1%83%93%E1%83%94%E1%83%9E%E1%83%A3%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%2C_%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%AA_%E1%83%95%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%9D_%E1%83%AC%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%97%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%A1_%E1%83%97%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A1_%E1%83%93%E1%83%90%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%AE%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%9C/13125 https://formulanews.ge/Programs_Video/%E1%83%A8%E1%83%90%E1%83%91%E1%83%90%E1%83%97%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%A4%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%90_%E2%80%94_2_%E1%83%98%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98/13131 https://www.youtube.com/watch?v=o8mmPhZNOpE

ჟურნალისტის//რედაქტორის მიერ ქარტიის პრინციპების დარღვევის დასაბუთება : 2022 წლის 2 ივლისს ტელეკომპანია „ფორმულას“ გადაცემაში „შაბათის ფორმულა“ გავიდა სიუჟეტი „ოცნების“ ზღვარი“, სადაც ჩემი ოჯახის და ჩემ მიმართ გავრცელდა ცრუ ინფორმაცია. ეს სიუჟეტი მიზნად ისახავს, რომ საზოგადოებას გაუჩნდეს აღქმა ჩემ მიერ ჩემი თანამდებობრივი მდგომარეობით თითქოს ბოროტად სარგებლობის თაობაზე, რაც ჩემთვის და ჩემი ოჯახისთვის რეპუტაციული ზიანის მიყენებას ემსახურება. კერძოდ, გადაცემის წამყვანმა და სიუჟეტის ავტორებმა გადაცემაში გააჟღერეს შემდეგი ცრუ ინფორმაცია: 1. გადაცემის წამყვანი დავით ქაშიაშვილი სიუჟეტის დაწყებამდე აცხადებს: „განა რას აკეთებს ეს ერთი დეპუტატი და რას გამოიმუშავებს ისეთს, რომ თბილისის პრესტიჟულ და ძვირადღირებულ უბანში ერთმანეთის გვერდით სახლები ჩადგა.“ ეს ინფორმაცია არ არის სიმართლე, რადგან იმ ტერიტორიაზე, რომელზედაც სიუჟეტში არის საუბარი, განთავსებულია ჩემი ოჯახის მფლობელობაში არსებული არა სახლები, არამედ მხოლოდ ერთი საცხოვრებელი სახლი, რაც საჯარო რეესტრის სათანადო ამონაწერით მარტივად დასტურდება. 2. სიუჟეტში ნათქვამია: „დრონის გარეშე წარმოუდგენელია, დაინახო 800 მ2-ზე აშენებული ორი სახლი, რომელიც ანრი ოხანაშვილს ეკუთვნის, საერთო საზაფხულო და დამხმარე ფართებით.“ ეს ინფორმაცია არ არის სიმართლე, რადგან იმ ტერიტორიაზე, რომელზედაც სიუჟეტში არის საუბარი, განთავსებულია ჩემი ოჯახის მფლობელობაში არსებული არა ორი სახლი, არამედ მხოლოდ ერთი საცხოვრებელი სახლი, რაც საჯარო რეესტრის სათანადო ამონაწერით მარტივად დასტურდება. 3. სიუჟეტში ნათქვამია: „დეკლარაციიდან ირკვევა, რომ ეს მიწა ოხანაშვილის მეუღლეს 2019 წელს აჩუქეს. მჩუქებლის ვინაობას მაკა ხოდელი არ ამხელს.“ ფრაზა „მჩუქებლის ვინაობას მაკა ხოდელი არ ამხელს“ არ არის სიმართლე, რადგან: 1) სიუჟეტში ნაჩვენები ის უძრავი ქონება, რომელსაც ჩემი ოჯახი ფლობს (კერძოდ, რომელიც ჩემი მეუღლის, მაკა ხოდელის, საკუთრებაში აღირიცხება), ჩემს მეუღლეს აჩუქა მისმა მშობელმა, ამირან ხოდელმა, რაც საჯარო რეესტრის სათანადო ამონაწერებით

მარტივად გარკვევადია; 2) ჩემს მეუღლეს ან მე სიუჟეტის მომზადებისას არავინ დაგვკავშირებია და ჩვენთვის არავის უკითხავს აღნიშნული უძრავი ქონების წარმომავლობის შესახებ. ამგვარად, ფრაზა „მჩუქებლის ვინაობას მაკა ხოდელი არ ამხელს“ სიცრუეა, რადგან შეუძლებელია, ადამიანმა „არ გაამხილოს“ ის, რაც საჯარო რეესტრის მეშვეობით თავისთავად საჯაროა და მარტივად გარკვევადია და რის შესახებაც ჩვენთვის შეკითხვაც კი არ დაუსვამთ. 4. სიუჟეტში ნათქვამია: „ალბათ უცნაურია, რომ ხოდელი ჯამში 800 000 მ2 მიწას ოხანაშვილის თანამდებობრივი წინსვლის პარალელურად დაეპატრონა.“ ეს ინფორმაცია არ არის სიმართლე, რადგან 80 ჰექტარი ფართობის მქონე აღნიშნული მიწის ნაკვეთი ამირან ხოდელის მფლობელობაში კანონიერად ნაწილნაწილ გადავიდა არა ჩემი „თანამდებობრივი წინსვლის“ პარალელურად, არამედ ვიდრე მე საქართველოს პარლამენტის წევრი გავხდებოდი. ეს ფაქტი მარტივად დასტურდება საჯარო რეესტრის სათანადო ამონაწერებითა და საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის 2021 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილებით N485 საქმეზე „ანრი ოხანაშვილი ჟანა აკოფაშვილისა და მიხეილ სესიაშვილის წინააღმდეგ“ (იხ. https://www.qartia.ge/ka/gadatsyvetilebebis-dzebna/article/90025-gadatsyvetileba-saqmeze-anri-okhanashvili-zhana-akofashvilis-da-mikheil-sesiashvilis-tsinaaghmdeg) ამრიგად, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნათლად დასტურდება ტელეკომპანია „ფორმულას“ გადაცემის „შაბათის ფორმულა“ წამყვანის დავით ქაშიაშვილის და იმავე გადაცემის 2022 წლის 2 ივლისის სიუჟეტის „ოცნების“ ზღვარი“ ავტორების: სოფო მოზალიშვილის, გიგა აღდგომელაშვილის, ლაშა ქებაძის და ლადო ბიჭაშვილის მიერ საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პირველი პრინციპის („ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადოების უფლებას – მიიღოს ზუსტი ინფორმაცია“) დარღვევა, რაც, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ჩემთვის და ჩემი ოჯახისთვის რეპუტაციული ზიანის მიყენებისკენ არის მიმართული.

განცხადება და თანდართული მასალები, დასაშვებობის შემთხვევაში, ხდება საჯარო და ნებისმიერ პირს ექნება საშუალება გაეცნოს მას.: ვეთანხმები